პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 დეკემბერი, კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 285 (14281)

## შეჰპატაკებენ საქმეშრომლის

**მარნეულელებმა პირობა შეასრულეს**

საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ნემსაძემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ მარნეულელებმა პირობა ვადაზე ერთი თვით ადრე შეახრულეს — სახელმწიფოს მიჰყიდეს 11.745 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 10.940 ცენტნერისა, 626 ათასი კვერცხი ნაცვლად 600 ათასისა, 1.346 ტონა ხილი ნაცვლად 1.330 ტონისა, 741 ტონა კარტოფილი ნაცვლად 740 ტონისა, საშემოდგომოდ თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესეს 11.474 ჰექტარზე ნაცვლად 10.654 ჰექტარისა.

## ბიბლიოთეკა — ყველა ადამიანისთვის

## ფეიქართა წარმატება

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა 23 ნოემბრისათვის შეასრულა 11 თვის გეგმა. მემაუდეებმა ნაცვლად 3 მილიონ 470 ათასი მეტრისა გამოუშვეს 3 მილიონ 530 ათასი მეტრი ქსოვილები. მიღებულია 360 ათასი მანეთი მოგება. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 450 ათასი მანეთით.

კოლექტივის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს გამომყვანმა წარმოებამ (უფროსი მ. ქაცარავა), სართავმა საამქრომ (უფროსი ზ. ისაკაძე) და მქსოველთა იმ ცვლამ, რომელსაც ლ. კობრიშვილი ხელმძღვანელობს.

კომბინატის მრავალრიცხოვან წევრთა მიზანია ღირსეულად დასრულონ სუთწლედის მესამე წელი და წარმატებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს, აცნობა რედაქციას კომბინატის დირექტორმა მ. ბაბუნაშვილმა.

## ბეტონი, რეალიზაციაც

თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის (დირექტორი ნ. ჯავახიშვილი) კოლექტივმა მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა თერმიტ თვეში 105,2 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა კი — 104,7 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 287 მილიონი ცალი სხვადასხვა სახის სიგარეტი და პაპაროსი, რომლის საერთო ღირებულება 911 ათას მანეთს შეადგენს.

უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მეთამბაქოეებმა თავისებურად აღნიშნეს. მათ მუყაოს კოლოფებში ლამაზად გაფორმებული სიგარეტის „საიუბილეო“ კრებული მიაწოდეს მომხმარებელს.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის დანერგვასა და ათვისებას. ამ მოკლე ხანში აქ დაიდგა ეთიკეტების ახალი საბეჭდ-საშტამპავი დანადგარი, რითაც შესაძლებელი გახდა სუთ ფერად ბეჭდვა. ამან საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის გაფორმება. ფაბრიკაში ნაყოფიერად შრომობენ რაციონალიზატორები. მათ შექმნეს სპეციალური ცენტრალიზებული შემწოვი დანადგარი,

# ჯილდოები — გამარჯვებულთ

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებმა 1968 წლის მესამე კვარტალში სერიოზული საწარმოო წარმატებები მოიპოვეს. **ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს** კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია მიიღო **ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს** კოლექტივმა. მესამე ფულადი პრემიები მიენიჭა **ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოსა** და „მეორეული ფერადი ლითონის“ საქართველოს საწარმოო სამმართველოს კოლექტივებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა, განიხილეს რა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები, გამარჯვებულად ცნეს **თელავის № 2 საგზაო საექსპლოატაციო უბნის** კოლექტივი. მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია დაამსახურა **მანგლისის № 12 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის** კოლექტივმა, მესამე — **გორის საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს** კოლექტივმა.

შეჯამებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთა საწარმოებისა. და ორგანიზაციების რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით და პირველი ფულადი პრემიით პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს პოლიგრაფიული საწარმოთა პირველ ჯგუფში დაჯილდოებულია **თბილისის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის** კოლექტივი.

**ფოთის საქალაქო სტამბის** კოლექტივმა დაიმსახურა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი და მეორე ფულადი პრემია.

საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს პოლიგრაფიულ საწარმოთა მეორე ჯგუფის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა — **ბოლნისის რაიონული სტამბის** კოლექტივმა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მეორე ფულადი პრემია მოიპოვა **სამტრედიის რაიონული სტამბის კოლექტივმა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ: **თბილისის კინოთეატრ „იაზბეგის“** კოლექტივსა და **აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კინოქსელის** კოლექტივს.

მეორე ფულადი პრემიები მოიპოვეს **თბილისის კინოთეატრ „რუსთაველისა“** და **გორის რაიონის კინოქსელის კოლექტივებმა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნეს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, გორისა და ზუგდიდის საქალაქო კინოქსელთა, ბორჯომის, გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, სიღნაღის, სამტრედიის, გუდაუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონულ კინოქსელთა, თბილისის კინოთეატრების „ამირანის“, „საქართველოს“, „სპარტაკის“, „ისნის“, „კომკავშირელის“, „თანამგზავრის“, „ბათუმისა“ და სხვათა კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

**ულროვითი** წარმატებებით ამთავრებს მიმდინარე წელს თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი.

ამ ხურათზე აღბეჭდილი არიან № 8 საფრენო საამქროს ახალგაზრდა მონაწილე მუშები (მარჯვნიდან) — მხეზავი ლ. კანდელაკი, ამლესავი მ. ვაშაკიძე, მხეზავი ა. ავაქოვა და ამლესავი ზ. ბოიახჩიანი.

ფოტო ს. კილაძისა.

# პროფკავშირული გაანაფლესით

**საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ახალი შემადგენლობანი, რომელთაც ასეთი ათასობით მშრომელმა თავისი განაწესი წაუყენეს.**

**ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.**

**ამოცანათა პრაქტიკული გადაჭრისათვის, იბრძოლოს ადამიანთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.**

**ბრძოლა ეს ზრუნვა და სერიოზული მიდგომა ესაჭიროება იმ მრავალ საქმიან, საყურადღებო შენიშვნასა და წინადადებას, რაც საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე გამოითქვა. დიდი ყურადღება უნდა დადეთმოს მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებას.**

**პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა უნდა გაძლიერონ დახმარება ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დახმარონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, თვითეული პროფკავშირული ორგანოს ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.**

**პროფკავშირების ნაყოფიერი მოღვაწეობის მთავარი წყარო მათდამი პარტიული ხელმძღვანელობაა, რომელსაც მეტად ბევრი ნაკადი ფორმა აქვს. პროფკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობაში, ისევე როგორც მთელ პარტიულ მუშაობაში, წარმატებას წყვეტს საქმისადმი შემოქმედებითი, საგნობრივი მიდგომა, ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინება. სწორედ კარგი, ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა აამაღლებს პროფკავშირების, როგორც მშრომელთა კოლექტივების მაორგანიზებელი ძალის როლს, დაეხმარება მათ მშობლიური პარტიის გარშემო ფართო მასების დარაზმვაში.**

**ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა**

**ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა**

**ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა**

# სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

**ბამბის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირას თესლის შესყიდვის გეგმების შესრულების შესახებ**

**ზაარჩაღმს** რა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირას თესლის მიყიდვის 1968 წლის გეგმები.

დამამზადებელ პუნქტებსა და გადამმუშავებელ საწარმოებში მიღებულია: ხამი ბამბა — 5,9 მილიონი ტონა, ანუ გეგმის 105 პროცენტი, შაქრის ჭარხალი — 79,2 მილიონი ტონა — გეგმის 114 პროცენტი და მზესუმზირას თესლი — 4,8 მილიონი ტონა — გეგმის 106 პროცენტი.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვა გრძელდება.

## დიდი შეკვეთა

**საბჭოთა** ჩარხსამშენებლო საწარმოები 1969-1970 წლებში მოძმე პოლონეთს მიაწვდიან ლითონსაჭრელი ჩარხების დიდ პარტიას, 7 მილიონამდე მანეთის კონტრაქტს მოაწერეს ხელი 4 დეკემბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „სტანკოიმპორტმა“ და პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმო „მეტალექსპორტმა“.

პოლონეთი საბჭოთა ლითონსაჭრელი ჩარხების უდიდესი მყიდველია. მიმდინარე წელთან შედარებით მიწოდება 1969 წელს დაახლოებით ერთნახევარჯერ გაიზრდება.

## საბჭოთა ფიზიკოსების წარმატება

**მოსკოვი.** (საქდესი). დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში სტაციონარულ რეჟიმში ჰელიუმის მსუბუქი იზოტოპის ნორმალურ ბუნებრივ ჰელიუმში გახსნის გზით მიღწეულია 0,008 გრადუსი ტემპერატურა კელვინით. ეს ტემპერატურა თითქმის ორმოცჯერ დაბალია, რომლის მიღებაც აქამდე შეძლეს თხევადი ჰელიუმის საშუალებით.

ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა ყოველგვარი ნივთიერება გავაცივოთ ზედბალ ტემპერატურამდე და გამოვიკვლიოთ მათი თვისებები ძალიან პირობებში. ამ მეთოდს, უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა მ. მალკოვმა, აქვს უადრესად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი ბევრად ბფართოებს ექსპერიმენტის შესაძლებლობებს, საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ გამოვიყენოთ თვისებები თხევადი ჰელიუმისა, რომელიც სიბლანტეს კარგავს ზედბალი ტემპერატურების დროს.

## საბჭოთა მუშათა კლასის ბიოგრაფია

**მშრომელ** ადამიანებს, მათ შესანიშნავ გამარჯვებებს მიეძღვნა წიგნი „საბჭოთა მუშათა კლასის მოკლე ისტორია“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა.

მხოლოდ ნახევარ საუკუნეს ითვლის საბჭოთა მუშათა კლასის ისტორია, მაგრამ სწორედ ამ 50 წელმა უდიდესი სისტორული დაადასტურა საზოგადოების განვითარების მთავარი კანონზომიერებანი, გვიჩვენა, რითი გამოიხატება პროლეტარიატის როგორც ერთადერთი რევოლუციური კლასის განვითარებისა და საქმიანობის საზოგადოებრივი არსი, პროლეტარიატისა, რომელიც ყველა მშრომელის ინტერესების ყველაზე სრული გამომხატველია.

ამ მეცნიერულ ნაშრომში ნაჩვენებია ძირითადი ეტაპები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გმირმა მუშათა კლასმა გაიარა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით,

ჩვენს ოჯახში

## ტრასა გაიდო ვოლგაზე

**რიბინსკი.** (საქდესი). წყალქვეშა-ტექნიკურ სამუშაოთა საექსპედიციო რაზმის მყვინთავებმა ვოლგის ფსკერზე ვადამდე გაიყვანეს გაზსადენის „ჩრდილოეთის ციალის“ უბანი. წყალქვეშა უბნის სიგრძე დაახლოებით 850 მეტრია.

ეს მაგისტრალი იწყება ქომის ასს რესპუბლიკის ეკატერინის საბადოში და სათბობს მიაწვდის ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებს.

წლის დამლევამდე მშენებლებმა გადაწყვიტეს ვოლგის ფსკერზე გაიყვანონ გაზსადენის მეორე ხაზი.

# ვითარდება ეკონომიური თანამშრომლობა

**28 ნოემბრიდან** 5 დეკემბრამდე მოსკოვში იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ლი დიუ ენის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-კორეის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხთა სამთავრობათშორისო საკონსულტაციო კომისიის მესამე სესიის მუშაობაში.

3 დეკემბერს ლი დიუ ენი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

საბჭოთა კავშირ-კორეის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხთა სამთავრობათშორისო საკონსულტაციო კომისიის მესამე სესიამ განიხილა და მიიღო რეკომენდაციები სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამავე დროს წარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1969 წლის საქონელბრუნვის შესახებ, რომლის შედეგად ხელი მოაწერეს შესაბამის ოქმს.

ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისადმი მისწრაფების შესაბამისად ოქმში გათვალისწინებულია საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა 1969 წელს. სსრ კავშირი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მეტი რაოდენობით მიაწვდის ზოგიერთი სახეობის მანქანებს, ენერგეტიკულ მოწყობილობას, საკისრებს, ნავთობპროდუქტებსა და სათბობს, კაბელის პროდუქციას, შავ და ფერად ლითონებსა და მთელ რიგ სხვა საქონელს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა სსრ კავშირს მოაწვდის მეტ საჭარხო მოწყობილობას, ელექტროძრავებს, ტრანსფორმატორებს, სხვადასხვა ინსტრუმენტს, შავ და ფერად ლითონებს, საშენ მასალებს, არამადნეულ წიაღისეულსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა კავშირ-კორეის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხთა სამთავრობათშორისო საკონსულტაციო კომისიის მესამე სესია და მოლაპარაკება სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკის 1969 წლის საქონელბრუნვის შესახებ მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში. მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ კომისიის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 1969 წლის საქონელბრუნვის ოქმის შესრულება ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. (საქდესი).

# კომუნიკე

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკებების შესახებ

**სსრ კავშირის ცენტრალურ კომიტეტში** მიმდინარე წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა.

შეხვედრაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ა. ს. ბელიაკოვი.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის მხრივ მონაწილეობდნენ ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე ფ. მური, ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ფიურნბერგი და ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. რუჟიჩკა.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულწრფელ და ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა ურთიერთგაგიარება საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად აქტუალურ პრობლემებზე, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებზე, აგრეთვე ორ პარტიას შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებაზე.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომპარტიის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ იმპერიალიზმის რეაქციული წრეები განაგრძობენ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, აღგენენ გამალებული შეიარაღებისა და ნატოს აგრესიული ბლოკის განმტკიცების ახალ გეგმებს, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომ განვითარებას და მოტყუებისა და ძალადობის საშუალებით განახორციელონ ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა, აძლიერებენ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მთელი რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს მოითხოვს სიფხიზლის გაძლიერებას, მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების შეკავშირებას. ამჟამად არსებობს რეალური შესაძლებლობანი ამისათვის, რომ ამ ძალების აქტიური და ერთობლივი მოქმედების გაშლის გზით ჩაფუშოს იმპერიალიზმის აგრესიული გეგმები, გადიჭრას საერთაშორისო პრობლემები საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის.

ორივე დელეგაციას ვიეტნამელი ხალხის, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის დიდ გამარჯვებად და ამერიკის იმპერიალიზმის დამარცხებად მიაჩნია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტა და მიღწეული შეთანხმება, რომ მოეწყოს მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მაგრამ, დელეგაციათა აზრით, უხდა განხორციელდეს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ახალი ღონისძიებანი, რათა მიღწეულ იქნას ამერიკის ჯარების მოლიანად გაყვანა ვიეტნამის ტერიტორიიდან და ვიეტნამელ ხალხს უფლება მიენიჭოს თვითონ გადაწყვეტოს თავისი ბედი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წინადადებათა საფუძველზე.

ვეიტნამის ირგვლივ მიმდინარე ომი, ეს ბოროტი ომი, ეს ბინძური ომი, ეს ბარბაროსული ომი, ეს ომი ადამიანურ ცივილიზაციასა და ადამიანურ ეთიკის ნორმებს ეწინააღმდეგებოდა. ეს ომი ეწინააღმდეგებოდა ადამიანურ ეთიკის ნორმებს

# ყველა მეურნეობა — მოწინავეთა დონეზე!

### კარტიის გურჯაანის რაიკომის პლენუმზე

◆

უკანასკნელ წლებში გურჯაანის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც განუხრელად ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადწყვეტილებებს, თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ისინი ხუთწლედის მესამე წელს. მართალია, ჯერ სამეურნეო წელი არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე შეიძლება მსჯელობა მთელ რიგ წინასწარ შედგებებზე. ვადამდე, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის, მარცვლეულის, მზესუმზირას, ხილის, ბოსტნეულის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის წლიური გეგმები.

და აი პარტიის გურჯაანის რაიკომის პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, სიამაყით ლაპარაკობდნენ ამ წარმატებებზე, სახავდნენ კონკრეტულ გზებს მომავალში უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. აზაურავშვილი.

მომხსენებლისა და ორატორთა გამოსვლებში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს — მევენახეობას. აღინიშნა, რომ ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად გურჯაანელებმა სამშობლოს მიეცეს 47 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.010 ტონისა. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა შესრულდა 124 პროცენტით, ხილისა — 101, ბოსტნეულისა — 101, ხორცისა — 100, რძისა — 115, კვერცხისა — 136 პროცენტით.

მიღწევები მოპოვებულია რაიონის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის თავდადებული, ბეჯითი მუშაობით.

მაგრამ, როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა — სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ლ. ოღლიშვილმა, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ე. სხირტლაძემ, გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორმა ი. ინდაშვილმა, ჯიმითის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგემ შ. ვარაზაშვილმა, სამტრფესის მექანიკური ქარხნის მუშამ ვ. ლომიძემ, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ბუნიაშვილმა აღნიშნეს, მიღწევები უფრო მეტი იქნებოდა, ყველა მეურნეობას ერთნაირი მონდომებით რომ ეშრომა. ყურძნის წარმოების წლევანდელი გეგმა ვერ შეასრულეს შაშიანის, კოლაგის, ბაკურციხის, ჩალაუბნის, მელაანის, ნანიანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

და ეს იმიტომ, რომ აქ გონივრულად არ იყენებენ ყურძნის მოსავლიანობის ამაღლების ყველა რეზერვს. მოიყვანეს ასეთი მაგალითები: შაშიანის კოლმეურნეობაში ვენახის ხიმერხრე 20-25 პროცენტს აღწევს, კოლაგის კოლმეურნეობაში — 25-30, მელაანის კოლმეურნეობაში 30-40 პროცენტს და სხვ. ვენახების რწყვისადმი შეუფასებლობას იჩენენ შაშიანის, ჯანდრის, კოლაგის, ბაკურციხის კოლმეურნეობებში. აქვე მოუგვარებელია შიდასამეურნეო სარწყავი ქსელი.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს უსახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების სამოქმედო პროგრამას. ამოცანა ის არის, რომ ეს გადაწყვეტილებანი დავიყვანოთ თვითეულ ადამიანამდე, რომ მათ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაჩაღებულ დიდ ლაშქრობაში.

პარტიის რაიკომის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი და მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მონაწილეებმა ასევე ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკურ მოღვაწეობას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ძოწენიძემ.

**ბ. გაბრუაშვილი.**

გურჯაანის რაიონულ გაზეთ „ლენინის გზით“ რედაქტორი.

## ერთსულოვანი მოწოდება

### პარტიის რაიკომების პლენუმები

◆

**პარტიის** საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებს.

პარტიის ახალქალაქის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა ს. პეტროსიანმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. კუჭავა.

პარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე.

პარტიის თელავისა და წითელწყაროს რაიონების პლენუმებზე მოხსენებები გააკეთეს რაიკომების პირველმა მდივნებმა ა. ვარდოშვილმა და ა. გონაშვილმა.

პლენუმების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქობულიავ.

პარტიის რაიკომების პლენუმების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

## თათბირ-სემინარი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის შესახებ

**კომუნიზმის** გაშლილი მშენებლობის პერიოდში ადამიანთა შეგნებაში რელიგიურ ცრურწმენათა დაძლევის გადამწყვეტი პირობაა შეიქმნას მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის აწონ-დაწონილი და მწყობრი სისტემა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენასა და ჯგუფს.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაფართოებისა და გაუმჯობესების საკითხები განიხილეს ათეისტ ლექტორთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“. იგი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა ათეისტური ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ ს. სახაროვმა.

ლექცია „ათეისტური პროპაგანდის ამოცანები თანამედროვე პირობებში“ წაიკითხა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეცნიერული ათეიზმის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ოკულოვმა.

„ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის კოსმოლოგიაში“ — ასე ეწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ხარაძის ლექციას.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს აგრეთვე პროფესორ მ. ალექსიშვილის ლექცია „ქრისტიანული რელიგიის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“, დოცენტ ო. გაბიძაშვილისა — „იუდაიზმის „გადმონაშთები საქართველოში“, დოცენტ დ. გეგეშიძისა — „ქრისტიანობის თანამედროვეობასთან შემგუებლობის ძირითადი ტენდენციები“, პროფესორ გ. ბანძელაძისა — „ვ. ი. ლენინი მორალისა და რელიგიის შესახებ“.

ლექციების შემდეგ გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება. (საქდესი).

# ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘ

### ეკონომიური მიმოხილვა

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

**ცამეტ წელზე** ცოტა მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს ისტორიული დადგენილება ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო რეფორმის განხორციელების შესახებ; სამი წელი სრულდება, რაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა ინერგება.

სამეურნეო რეფორმამ ამ სამი წლის მანძილზე მთლიანად უცვალა სახე ჩვენს მრეწველობას, ტრანსპორტს და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს. მან დიდი ცვლილებები მოახდინა სამრეწველო საწარმოთა და სახელმწიფოს, თვით სამრეწველო საწარმოების, საწარმოთა კოლექტივებისა და მათი თვითეული წევრის ურთიერთობაში.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირებას ახალ პირობებში მომუშავე საწარმოთა კოლექტივები უფრო სრულად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, უფრო სწრაფი ტემპით ზრდიან მატერიალურ დოვლათს, და ანაზღაურებასაც მეტს იღებენ იმ საწარმოთა კოლექტივებთან შედარებით, რომლებიც ჯერჯერობით კვლავ ძველი სისტემით განაგრძობენ მუშაობას.

დღეისათვის საქართველოში ახალი სისტემით 528 საწარმო მუშაობს. ეს საწარმოები რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 67 პროცენტს უშვებენ, მათზე მოდის რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის 66 პროცენტი და მოგების 65 პროცენტი. ახლებურად მუშაობენ უკვე არა ერთეული, არამედ საწარმოთა ჯგუფები და მთლიანი დარგებიც კი.

მეურნეობის ახალ წესზე სამრეწველო საწარმოთა გადაყვანის პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო წლეულს, როცა ახალ წესზე გადავიდა ჩვენი რესპუბლიკის 371 საწარმო, ანუ ახლებურად მომუშავეთა საერთო რაოდენობის 70 პროცენტი. მომავალი წელი სამეურნეო რეფორმის რესპუბლიკა დანარჩენ ყველა სამრეწველო საწარმოს გადაყვანის დამამთავრებელი წელი იქნება.

**უნდა** აღინიშნოს, რომ სამეურნეო რეფორმა ისეთი ღონისძიებაა რომელიც, რომელიც ატომატურად, შრომის გაუწეველად ქმნის „ღვთიერ სიკეთეს“. ასეთი ეკონომიური ღონისძიება არც არსებობს ბუნებაში. სამეურნეო რეფორმის პირველი და უმთავრესი სხვარე ის არის, რომ მასში ჩაქსოვილი ლენინური პრინციპი — მატერიალური დაინტერესების გაზრდით წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფა — გამოიყენოთ მთლიანად და თანმიმდევრულად. იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც სავსებით შეიგნეს ეს, შემოქმედებითად იყენებენ რეფორმის ეკონომიურ ბერკეტებს, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. ვილაპარაკოთ ფაქტებით: მიმდინარე წლის სამ კვარტალში საქართველოს მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით 43 მილიონამდე მანეთის სამრეწველო პროდუქცია გასალა. ახალი სისტემით მომუშავე 528 სამრეწველო საწარმომ რეალიზაციის 9 თვის გეგმა 106, 6 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდა 105,8 მილიონი მანეთის მზა ნაწარმი. ამასთან, თუ მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში ამ ხნის მანძილზე რეალიზაციის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,4 პროცენტით გაიზარდა, ახალი სისტემით მომუშავე საწარმოებმა ეს მაჩვენებელი 6,8 პროცენტით გადიდეს.

ახალ პირობებში მუშაობისას წინა პლანზე წამოწეულია ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნისა და გამოყენების საკითხი. ახლებურად მომუშავე საწარმოთა ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი მიმდინარე წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა და 36,2 პროცენტით მეტია ძველი სისტემით მომუშავე საწარმოთა ერთი მუშაკის საშუალო თვიურ ხელფასზე. წლეულს ახლებურად მომუშავე საწარმოებში პრემიების, ერთდროული დახმარებისა და ჯილდოების სახით მუშაკებზე 4,8 მილიონი მანეთი გაიცა, მათ შორის 2,2 მილიონი მანეთი — მუშებზე.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ეკონომიური სტიმულირების ფონდებს შორის მატერიალური წახალისების ფონდი უმნიშვნელოვანესია. გულახდილად უნდა ითქვას, რომ სწორედ მხოლოდ ეს საკითხია ზოგიერთი საწარმოს კოლექტივის ყურადღების ცენტრში, ზოგიერთი მუშაკი კი სამეურნეო რეფორმას და პრემიების მიღებას ერთმანეთთან აიგივებს და გამოდის, რომ სამეურნეო რეფორმა მათთვის არის ეგრეთწოდებული საარემო რეფორმა. რა თქმა უნდა, ეს არ არის საქმისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება.

**ᲐᲮᲐᲚ** პირობებში მომუშავე საწარმოებში ზოგჯერ იერარქიამ შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის მარეგულირებელი თანაფარდობა. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ საწარმოებსა და მრეწველობის ზოგიერთ დარგშიც კი ანალოგიური სურათია. ასეთი მოვლენა საერთოდ არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

მთავრობის გადწყვეტილებით იმ შემთხვევაში, როცა ახალი სისტემით მომუშავე საწარმოებში საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, მატერიალური წახალისების ფონდის შესაბამისი ნაწილი ჩაირიცხება რეზერვში მომავალ წელს გამოსაყენებლად, ან გადაირიცხება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში.

ეს წესი არ გავრცელდება ისეთ საწარმოებზე, სადაც დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული არ არის საშუალო ხელფასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გამსწრები ტემპით ზრდა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ახალი ტექნიკის ათვისებით, რეკონსტრუქციით, სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესებით, აგრეთვე კვების, რძისა და ხორცის და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუარესებით, ოდენობის შემცირებითა და სხვ.

**ᲛᲐᲘᲜᲪ** რამ გამოიწვია ამ ორ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს შორის მართებული თანაფარდობის დარღვევა? ჩვენი მოსაზრებით, ახალი სისტემით მომუშავე საწარმოებში შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით საშუალო ხელფასის გამსწრები ტემპით ზრდა დამახასიათებელია ახლებურად მუშაობის მხოლოდ პირველი წლისათვის. საქმე ის არის, რომ ახალ წესზე გადასვლისას ეკონომიური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად საწარმოები მოგების გადიდების დამატებითი ეალდებულებას კისრულობენ, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდით და წარმოების დანახარჯების (თვითღირებულების) შემცირებით.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საწარმოები მეტწილად ამ უკანასკნელ გზას მიმართავენ. ახლებურად მომუშავე 209 საწარმოს მასალების ანალიზით ირკვევა, რომ მათ მიერ მოგების 4,3 მილიონი მანეთით გადიდების დამატებითი ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დამატებითი მოგების 90 პროცენტი ამ საწარმოების მიერ გამოყენებული იყო სტიმულირების ფონდების შესაქმნელად, საიდანაც დაახლოებით 55-60 პროცენტი ჩაირიცხა მატერიალური წახალისების ფონდში, ცხადი გახდება, რომ ამ საწარმოთა მუშაკების პრემიალური ანაზღაურება საგრძნობლად გაიზრდებოდა. მაგრამ წახალისების ფონდების ზრდასთან არ სდევდა წარმოების მოცულობის შესაბამისი ზრდა (დამატებით მოგება მეტწილად თვითღირებულების შემცირების ხარჯზე მიიღეს), შრომის ნაყოფიერება კი არსებული მეთოდოლოგიით ძირითადად გამოითვლება წარმოების მოცულობის (საერთო პროდუქციის) მაჩვენებლით. მაშასადამე, მოგება გადიდდა, წახალისების ფონდები შეიქმნა და პრემიების ოდენობაც გაიზარდა, მაგრამ საერთო პროდუქციის მაჩვენებლით გამოთვლილი შრომის ნაყოფიერების ზრდა მას ჩამორჩა.

მეორე მხრივ, ახალ წესზე გადაყვანამდე საწარმოებს მცირე საპრემიო თანხები და შესაბამისად დაბალი შესაძარი ბაზა ჰქონდათ. ახლებურად მუშაობისას კი პრემიები გაიზარდა, მაშასადამე, ზრდის ტემპი გადიდდა. აი ყოველივე ამის გამო, შრომისნაყოფიერებისა და სამუშაო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის მართებული თანაფარდობის დარღვევა ჩვენი აზრით, დამახასიათებელი და ლოგიკური დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე საწარმოთა გადაყვანის პირველი წლისათვის. თუ ასეთი დარღვევას მომდევნო წლებშიც ექნა ადგილი, ეს უკვე ერთგვარი ანომალია იქნება.

ფაქტიურად ორ ანგიოლია, სრულიად ბუნებრივად მიეცემოდა სხვა მოსაზრებამდეც: ეკონომიური ბერკეტი — ანაზღაურებისა და საერთო პროდუქციის ურთიერთმიმართება — ყოველთვის ამ ორ ტემპს ვერ ეფარება. ეს ბერკეტი ამ ორ ტემპს ვერ ეფარება,

მსოფლიო დღეს

# საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პროგლემები

## ა. დუბჩეკის გამოსვლა

პრაღა, 6 დეკემბერი. (საკდესი). ორგორც ჩეხოსლოვაკიის დკპ-ს საგანგებო იუწყება, გუშინ ქალაქ მოსკოვში გაიმართა ჩრდილოეთ ჩეხეთის ქვანახშირის აუზის შახტების პარტიულ, პროფკავშირულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა აქტივის კრება.

აქტივის კრებაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ი. პინკავა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ფ. პენეკი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ა. დუბჩეკმა. იგი შეეხო საკითხთა ორ ჯგუფს — საკითხებს, რომლებიც განხილია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, და საკითხებს, რომლებიც შეტანილია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი, დეკემბრის პლენუმის დღის წესრიგში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დასკვნები, მისი რეზოლუცია, თქვა ა. დუბჩეკმა, ჩვენთვის არის და მთელი პარტიისათვის უნდა იყოს დირექტივები და პრინციპები, რომლებსაც ყველანი თანმიმდევრულად დავიცავთ და, რომლებსაც გადაჭრით უნდა დაუჭიროთ მხარი პარტიაში.

ჩვენ გვსურს, განაცხადა მან, გავემიჯნოთ ყოველივეს, რაც ნეგატიური იყო იანვრისშემდგომ განვითარებაში, უწინარეს ყოვლისა მემარჯვენე ანტისოციალისტურ ძალებს. ამ ძალებს აქვთ ნიჰილისტური შეხედულებანი სოციალიზმზე, ისინი ცდილობდნენ, განსაკუთრებით მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში, უარყოთ პარტიის ხელმძღვანელი როლი და ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტები შეეტანათ ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში. კერძოდ, შეეკუმშათ ოპოზიცია ერთიანი ფრონტის სოციალისტური პლატფორმის წინააღმდეგ, თავს ესხმოდნენ ჩვენს სამოკავშირეო ურთიერთობასა და სხვ. მათ სერიოზულად გაართულეს პოლიტიკური მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში და ჩვენი ურთიერთობა მოკავშირეებთან. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი წარმოადგენენ სოციალიზმის მთავარ საფრთხეს და უფრო თანმიმდევრულად უნდა წინააღვუდგეთ მათ როგორც იდეოლოგიურ, ისე პოლიტიკურ დარგში.

ნოემბრის პლენუმიდან გამომდინარე გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოს ყველა რგოლი, თქვა მან.

შემდეგ ა. დუბჩეკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება ქვეყნის ცხოვრებაში, რომ მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოთ ამოცანებს ეკონომიკის დარგში. ეკონომიურ საკითხებს, თქვა მან, განიხილავს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება. ა. დუბჩეკმა თქვა, რომ გათვალისწინებულია კიდევ უფრო განვითარდეს საგარეო სავაჭრო ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მყარი და გრძელვადიანი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

## დისკუსია დამთავრდა

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე კომიტეტის პირველმა კომიტეტმა გუშინ დაამთავრა ზოგადი დისკუსია განიარაღების საკითხზე. კომიტეტში შეტანილია შვიდი რეზოლუცია, რომლებიც ეხება განიარაღების სხვადასხვა ასპექტს. ის აქტივობამ, რომლითაც მიმდინარეობდა ამ პრობლემის განხილვა, ცხადყო, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ გრძელდება გამალებული შეიარაღება და მოითხოვს თავიდან აიცილონ კაცობრიობას ეს საშიში და გამჩანაგებელი ტვირთი.

## ვროეკტი მოიწონეს

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე კომიტეტმა (ეკონომიურ და ფინანსთა საკითხებზე) მოიწონა განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ასამბლეას წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის წევრთა რიცხვიდან გარიცხონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სანამ არ შეწყვეტს აპარტეიდის პოლიტიკას.

რეზოლუციის პროექტში, რომელიც წამოაყენეს 40 სახელმწიფოს დელეგაციებმა, აღნიშნულია, რომ „სამხრეთ აფრიკის რეჟიმის მიერ რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის განხორციელება უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს“.

ეს პროექტი მიიღეს 49 ხმით, წინააღმდეგ ხმა მისცა 22 სახელმწიფომ და 28-მა თავი შეიკავა.

## ფაქტები ამხილებენ

ბანგი, 7 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი კომისიის პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მთელი რიგი დოკუმენტები და მასალები სამარი აქტების შესახებ, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე.

კომისიის მონაცემებით, ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოეთ ვიეტნამში მოახდინეს 600 თვითმფრინავგადაფრენა, აქედან 500 გაფრენას ჰქონდა დაზვერვის ხასიათი. ყველაზე მძიმე დანაშაული, ხაზი გაუსვა მაი ლამმა, შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციებში, რომლებსაც რამდენჯერმე დაუშინეს ცეცხლი და დაბომბეს.

## სუან თხიუის პრეს-კონფერენცია

პარიზი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერატერიტორიის და დემილიტარიზებული ზონის დაბომბვა 3 დეკემბერს უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე წინა დღეებში, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა პარიზში სუან თხიუომ. ამასთან დაკავშირებით დელეგაციის წარმომადგენელი ხა ვან ლაუ ახალ პროტესტს გადასცემს ამერიკის მხარეს.

### ასპარეზლებენ სიმართლისათვის

სტამბოლი, 7 დეკემბერი. (საკდესი). თურქ ჟურნალისტს ფეთი ნაჯისა და სტამბოლის ჟურნალ „ანთის“ რედაქტორს იაშარ უჩარს მიუსაჯეს წელიწადნახევრის პატიმრობა. პატიმრობის მოხდის შემდეგ ისინი 6 თვეს იცხოვრებენ პოლიციის ზედამხედველობით.

თურქ ჟურნალისტებს ბრალად დასდეს „კომუნისტური პროპაგანდა“. 1967 წლის ნოემბერში ფ. ნაჯიმ ჟურნალ „ანთში“ გამოაქვეყნა სტატია „ოქტომბრის რევოლუციის 50 წელი“, რომელშიც აღწერდა, თუ როგორი გახდა ოქტომბრის სამშობლო 50 წლიწადში.

### „ეტიცე“ პოლიტიკის მომხრე

„ლაიფი“, ნიუ-იორკი.

რიჩარდ ნიქსონი ალბათ ერთერთია საიდუმლოებით მოცული იმ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რომლებიც კი ოდესმე გამოჩენილან ამერიკის პოლიტიკურ ასპარეზზე. მიუხედავად წარსულში მძიმე დამარცხებებისა, მან შეძლო საზოგადოების მაღალ საფეხურზე ასვლა.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ნიქსონი გამოდიოდა ტელევიზიით და უპასუხებდა მაყურებელთა კითხვებზე ჯერ კლივლენდში, შემდეგ ლოს-ანჯელესსა და ფილადელფიაში, ხოლო უფრო გვიან მთელ ქვეყანაში. ამ პროგრამათა ორგანიზატორები ნიქსონს წინასწარ ურჩევდნენ ოპონენტებად იმათ, ვისი „ხმაც მთელ ქვეყანაში გაისმის“, როგორც ეს თვით ნიქსონმა განაცხადა მაისში რადიოთი გამოსვლის დროს. უწინარეს ყოველისა ეს არის „რესპუბლიკელთა ხმა“, შემდეგ „ახალ ლიბერალთა ხმა“, „ახალი სამხრეთის ხმა“, „მბრძოლი ზანგების ხმა“ და, ბოლოს, „ყველაზე მნიშვნელოვანი ხმა“ — „ჩუმი ცენტრის ხმა“.

მაისში ნიქსონი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ამ ხუთი „ხმის“ გაერთიანება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, და თუ ეს კავშირი სავსებით ჰარმონიული არ იქნება, მაშინ უთანხმოება შეიძლება წარმოიშვას იმ ცვლილებათა ტემპების გამო, რომლებიც ამერიკაში უნდა მოხდეს, და არა ამ ცვლილებათა მიმართულების გამო. ეს, რბილად რომ ვთქვათ, მეტად კაფანური პოლიტიკური კონცეფციაა. და აი იგი უკვე ტელევიზიის სტუდიებშია, მზად არის შეხვდეს ამ „ახალ კავშირს“ და დაამტკიცოს, რომ მას რეალური სინამდვილისა არ ეშინია.

მაგრამ, სამწუხაროდ, კითხვებსა და პასუხებს ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი ჩაუვლია. როცა კითხვა გადამჭრელ პასუხს მოითხოვდა, მაშინვე თავს იჩენდა ნიქსონის სიფრთხილე; მისი პასუხი თავშეკავებული და ნეიტრალური იყო. იგი გამოცდილი პოლემისტია, და თითქოს გაუგებარი ხდება, თუ რატომ დამარცხდა კენედისთან ჭიდილში 1960 წელს. ნიქსონს უნარი შესწევდა გაიკეთოს გულგრილობის ნიღაბი, განზე გადგეს, როცა დისკუსია მისთვის არასასურველ მიმართულებას იღებს.

საბრძოლოდ განწყობილ ზანგებს ლოს-ანჯელესში ნიქსონისაგან ესმოდათ მხოლოდ მეგობრობის დაპირებანი და სიტყვა არ გაუგონიათ იმის თაობაზე, თუ როგორ აპირებს იგი ქალაქების კრიზისის გადაჭრვებას.

ერთ-ერთი ფილადელფიელი ახალი ლიბერალი ჩიოდა, რომ ნიქსონისაგან ახალი ვერაფერი გიგეო, რომ ეს, კითხვებზე პასუხების ჩათვლით, პრაქტიკულად მისი რადიოთი გამოსვლის გამეორება იყო.

უპასუხებდა რა ყოველგვარ კითხვებზე, ნიქსონი სანამდვილეში უმთავრესად „წყნარი ამერიკელის“ გულის მოგებას ცდილობდა. მას თან სდევდა იმ ამერიკელთა მიერ უსიტყვო დაგმობის შიში, რომლებიც ფიქრობდნენ თავიანთი ხმა უოლესისათვის მიეცათ.

ერთ-ერთ თავის სიტყვაში ნიქსონმა მათ „დავიწყებული ამერიკელები“ უწოდა. „თქვენ იცით, ვინც არიან ისინი. ისინი არიან მდიდრები და ღარიბები. შავკანიანები და თეთრკანიანები. ისინი იხდიან გადასახადებს და არ გამოდიან დემონსტრაციებზე“. მათ შეიძლება პირდაპირ ვუთხრათ, რომ „ვაშინგტონი დამნაშავეობის დედაქალაქია“... „მოდით თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: ჩვენმა სასამართლოებმა ძალიან ღრმად შეტოპეს, დამნაშავეობასთან ბრძოლაში პოლიციის უფლებებს რომ ზღუდავენ“. „ბუენოს“ შეპყრობა „დიდად შეურაცხმყოფელი“ იყო, და არასოდეს ამერიკის პრესტიჟი საზღვარგარეთ ასე დაბლა არ დაცემულა. ქვეყანას ესაჭიროება როგორც ახალი საგარეო პოლიტიკა, ისე იუსტიციის ახალი მინისტრი. ამომრჩევლები პირისპირ დგანან „საუკუნის ყველაზე გარკვეული არჩევანის წინაშე“.

იქნებაა თუ არა ნიქსონი, როცა პრეზიდენტი გახდება, ისეთი გაბედული, როგორც მის შესახებ მასთან ახლო მდგომი ადამიანები ამბობენ?

— იგი არასოდეს არ აღმოჩნდება ფანტაზიის გაგლეწაში, — ამტკიცებს ერთ-ერთი მათგანი. — იგი საგნებს ფხიზელი გონებით უყურებს. მაგრამ ამავე დროს მას თავისი აზრი აქვს მსოფლიოზე, იმ საფუძვლებზე, რომლებითაც შეიძლება მიაღწიოს სხვა ქვეყნებთან შეთანხმებას. თუ ჩვენ მტრის მიმართ სწორ პოლიტიკას განვახორციელებთ და ჩვენს მოკავშირეებს სათანადოდ მოვეპყრობით, მაშინ შესაძლებელია ურთიერთობათა მთელი სისტემის სრული აღდგენის იმედიც ვიქონიოთ.

— გახსოვდეთ, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა ვიცე-პრეზიდენტი, ე. ი. გენერლის ახალგაზრდა „ადიუტანტი“ გახდა. ამან რამდენადმე შეაფერხა მისი როგორც პიროვნების განვითარება, შესაძლებლობა არ მისცა მას გამოეშუშავებინა საკუთარი სტილი, — ამბობს მისი ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი. — მაგრამ მან ამ გამოცდას გაუძლო და შეძლო აღედგინა თავისი თავი როგორც პიროვნება. ახლა ეს არის კაცი, რომელსაც საკუთარი სახე აქვს.

ცდილობს რა არ დაუშვას 1960 წლის შეცდომები, ნიქსონი არ ემიჯნება პრესას, ხშირად ესაუბრება კორესპონდენტებს.

— ესმის თუ არა თვითონ მას, რომ დიდი ხნის განმავლობაში ეიზენჰაუერის ჩრდილი მის განვითარებას აფერხებდა?

ნიქსონს თვალები უფართოვდება, და იგი თავის თაზე ლაპარაკს იწყებს მესამე პირში. „რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ნიქსონმა ვერ შეძლო ბევრი რამისათვის მიეღწია, თავისი საკუთარი ძალების გამოყენებით, ეს თვითონაც ესმის“. შემდეგ იგი მოხერხებულად გადადის თავისი წინასაარჩევნო კამპანიის საკითხზე. „მაგრამ ბედმა მე უფრო გამიღიმა, ვიდრე ჰემფრის. მისი სიძნელენი მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ჩემი. მე შემიძლია განვაგრძო ეიზენჰაუერის ხაზი, ჰემფრი კი მიჯაჭვულია ჯონსონის პოლიტიკაზე“.

ნიქსონს ეიზენჰაუერი ყოველთვის მიაჩნდა თავის დიდ მასწავლებლად. „მან ბევრი რამ მასწავლა ჩემს რწმენებათა საკითხებში. მე მჭირდა იმის ტენდენცია, რომ მეტად ბევრი რამ თვითონ მეკეთებინა“. შემდეგ ნიქსონი როგორღაც მაშინვე თავისი პრეზიდენტობის საკითხზე გადადის: „მე სხვას ვერ ვანდობდი იმდენად ბევრ ფუნქციას, როგორც ამას ეიზენჰაუერი აკეთებდა. იგი მოვიდა სამხედრო წრეებიდან, მე კი — იურიდიული წრეებიდან. და ბევრ რამეს თვითონ გავაკეთებ. მაგრამ გარკვეული აზრით ძალიან დავემსგავსები ეიზენჰაუერს. მას არასოდეს არ ეშინოდა თავის გარშემო შემოეკრიბა გამოჩენილი ადამიანები. მართალია, მე მეტწილად ინტელექტუალების წარმომადგენლებს შემოვიკრებდი. ეიზენჰაუერი კი მეტად აფასებდა საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ჩემს ირგვლივ იქნებიან ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები. ეს კარგი სტიმულია. მიდრეკილება მაქვს ფილოსოფიისადმი, შესაძლოა, მე პოლიტიკოსის ისეთ ტიპს უფრო ეუახლოვდები, როგორიც ედლაი სტივენსონი იყო. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მე არ მეგულება ისეთი მეორე კაცი, რომელსაც ქონდეს წინასწარსედვის ისეთი უნარი, როგორიც ჰქონდა ჯონ ფოსტერ დალესს. მე მომიხდება ბევრი დროის დახარჯვა იმაზე, რომ პირადად გადავწყვიტო ეს საკითხები. სამხედრო დარგში დამჭირდება ძლიერი კაცი, ჯერ ამ სფეროს საკმარისად ვერ ვიცნობ. რაც შეეხება ჩემს ურთიერთდამოკიდებულებას კონგრესთან, ჩემს თანამშემწეებს იმდენად არ დავიყრდნობი, როგორც ამას ეიზენჰაუერი აკეთებდა. ამ საქმეში ჯონსონი ჩემზე ძლიერია. იგი ჩვენი დროის უდიდესი პოლიტიკური ტაქტიკოსია. მჭიდრო კონტაქტები მექნება დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან. და ვიცი, რომ ყველა საკითხს მათთან უკეთ გადავწყვეტ, ვიდრე ჯონსონი“.

ნიქსონი თვლის, რომ თავდაცვის საკითხებში ჯონსონი თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში სხვების მცდარ შეხედულებათა გავლენაში მოექცა. „მე ეფიქრობ, რომ კლიფორდი უფრო მეტად გამოხატავს ჯონსონის პოლიტიკას, ვიდრე მაკნამარა“.

თვითონ ნიქსონი აპირებს ენერგიულად განახორციელოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სამხედრო ძლიერების ზრდისაკენ, იმ ანგარიშით, რომ ძალის პოზიციებიდან გამოლიოდეს. „მე არ ვენთმ საბჭოთა კავშირთან „თანასწორობის“ კონცეფციას, რომელიც მაკნამარამ წამოაყენა. მე არ ვაბირებ ბომბების დამენას, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს... უნდა ქონდეთ სამხედრო უპირატესობა. ეს ძლიერება უნდა გვქონდეს არა იმისათვის, რომ ორი მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკი მრისხანედ უთვალთვალებდეს ერთმანეთს, არამედ იმისათვის, რომ ვაფარმოთ მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკების პერიოდი უნდა იყოს“.

## გზა ქალაუფლებისაკენ

### „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ვაშინგტონი

რიჩარდ მილჰაუს ნიქსონი დაიბადა 1913 წლის 9 იანვარს ქ. იორბა ლინდაში, კალიფორნიის შტატი, სამუალო შეძლების ოჯახში. მისი დედა და მამა იმ პირველ ამერიკელ მოსახლეთა შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომამდე ირლანდიიდან ახალ ინგლისში ჩამოვიდნენ და შემდეგ დასავლეთ სანაპიროზე გადასახლდნენ.

რიჩარდ ნიქსონის დედა კვაკერებს ეკუთვნოდა, და რიჩარდმა კვაკერული აღზრდა-განათლება მიიღო. როცა იგი ცხრა წლისა შესრულდა, ნიქსონების ოჯახი ქალაქ უიტიერში (კალიფორნიის შტატი) გადავიდა, სადაც მამამისი მაღაზიისა და ბენზინის ჩამოსასხმელი სადგურის მფლობელი გახდა. ჭაბუკი რიჩარდი მამის მაღაზიაში საბუხჰალტრო აღრიცხვას ეწეოდა და კლერკად მუშაობდა.

რ. ნიქსონი სწავლობდა უიტიერის კოლეჯში, კვაკერულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1934 წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო. 1937 წელს მან დამთავრა ჰ. დერჰემის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) დიუკას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1942 წელს ნიქსონი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და სამნახევარ წელიწადს მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

1940 წელს ტელმა კეტრინ (პეტი) რაიანი, ნევადის შტატის მეშახტის ქალიშვილი, რომელმაც სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი დამთავრა და სკოლის მასწავლებლად სამუშაოდ უიტიერში ჩავიდა, რ. ნიქსონის მეუღლე გახდა. მათი ოჯახი ახლა 10-თასიან ბინაში ცხოვრობს, რომელიც მეხუთე ავენიუზე მდებარეობს და ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკს გადაკაკურებს. ამავე სახლში ცხოვრობს გუბერნატორი როკფელერიც.

მას შემდეგ, რაც რ. ნიქსონი ნიუ-იორკში დასახლდა, მისი წლიური შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 200 ათას დოლარს, რასაც იგი უმთავრესად კერძო იურიდიული პრაქტიკითა და ჟურნალ-გაზეთებში სტატიების ბეჭდვით იღებს. მისი ქონება შეფასებულია 515 ათას დოლარად.

1946 წელს 33 წლის ნიქსონს, რომელიც ის-ის იყო დემობილიზებულ. იქნა სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან, პირველად ირჩევენ კონგრესში. მან წარმომადგენელთა პალატაში დაიკავა რუზველტის „ახალი კურსის“ პლეადის წარმომადგენლის დემოკრატ ჯერი ვურპისის ადგილი, რომელსაც ეს პოსტი 10 წელიწადს ეკავა.

კორეის ომის დაწყების შემდეგ 1950 წელს რ. ნიქსონმა მიაღწია სენატში არჩევას კალიფორნიის შტატიდან, ავადმყოფობის გამო გადამდგარი დემოკრატი სენატორის შერიდან დაუნის ნაცვლად. სენატში არჩევნების კამპანიის პერიოდში რ. ნიქსონმა დაამარცხა წარმომადგენელთა პალატის ლიბერალი წევრი, ყოფილი კინომსახიობი ჰელი ელენ დუგლასი.

1952 წელს რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა ყრილობამ რ. ნიქსონი წამოაყენა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად. ეიზენჰაუერმა და ნიქსონმა გაიმარჯვეს არჩევნებში.

1960 წელს რესპუბლიკელებმა რ. ნიქსონი წამოაყენეს პრეზიდენტობის კანდიდატად, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰენრი კებოტ ლოჯი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად. დემოკრატებმა პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს ჯონ ფ. კენედი, მასაჩუსეტსის შტატის სენატორი, და ტეხასელი სენატორი ლინდონ ბ. ჯონსონი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. რ. ნიქსონმა წააგო ხმების მცირეოდენი დაკარგვით. კენედისა და ჯონსონს ხმა მისცა 34.226.731 კაცმა, ნიქსონსა და ლოჯს — 34.108.157 კაცმა.

როდესაც ნიქსონი კალიფორნიაში დაბრუნდა, მეგობრებმა აიძულეს ებრძოლა გუბერნატორობისათვის დემოკრატ ბრაუნის წინააღმდეგ. 1962 წელს გუბერნატორმა ბრაუნმა გაიმარჯვა 6 მილიონიდან 296.758 ხმის უმეტესობით. განაცხადა რა, რომ ეს იყო მისი „უკანასკნელი საარჩევნო კამპანია სახელმწიფო პოსტზე“, რ. ნიქსონი გადავიდა ნიუ-იორკში იმ ანგარიშით, რომ სულ სხვა ასპარეზზე გამოსულიყო.

1963 წელიდან რ. ნიქსონი იურიდიულ პრაქტიკას ეწევა, გამოდის სიტყვებით, წერს პრესისათვის, მოგზაურობს ამერიკაში და მის ფარგლებს გარეთ. მარტო 1967 წელს იგი 40-მდე ქვეყანაში იყო — აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა კავშირში, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ჟურნალი „ზა რუბეშომ“.

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

## ფრანგ კომუნისტთა საბრძოლო პროგრამა

პარიზი, 7 დეკემბერი. (საკდესი). კომუნისტები იღვწიან იმისათვის, რომ არსებული რეჟიმი შეცვალონ სახალხო მთავრობით, დემოკრატიული ერთობის მთავრობით, რომელიც შეძლებს გაუძღვეს საფრანგეთს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ დარგში საფუძვლიანი ცვლილებების გზით, რასაც გვიკარნახებენ ეპოქის მოთხოვნები და ქვეყნის საჭირობა, ნათქვამია მანიფესტში, რომელიც გუშინ მიიღო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

აზლა მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის მთავარი თავისებურებაა სოციალიზმის, მუშათა მოძრაობის განვითარება კაპიტალის ქვეყნებში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება იმ ქვეყნებში, რომლებსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ჩაგრავს იმპერიალიზმი. მსოფლიო ვითარება, ნათქვამია დოკუმენტში, შეიცვალა პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის ძალების სასარგებლოდ.

საფრანგეთში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სოციალიზმი დღის წესრიგში დგას. სოციალიზმი მარტო იდეალი როდია, იგი უკვე რეალობა გახდა 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე.

საბჭოთა ხალხი და ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტია პირველი დაადგნენ სოციალიზმის გზას. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება, მისი გადამწყვეტი როლი ბარბაროსული პიტლერული სისტემის მოსპობაში, მისი ჩადგომა პირველ მსოფლიო სახელმწიფოთა რიგებში მნიშვნელოვნად აადვილებენ მსოფლიო პროლეტარიატისა და ჩაგრული ხალხების ბრძოლას.

მანიფესტში დაწერილებით არის გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორიცაა სოციალიზმისათვის ბრძოლის პირობები საფრანგეთში, მუშათა კლასის როლი და საფრანგეთის კომპარტიის ავანგარდული როლი, დემოკრატიული პარტიებისა და ფორმაციების თანამშრომლობა სოციალიზმის მშენებლობაში, სოციალისტური დემოკრატია და სოციალიზმის დაცვა.

ავითარებს რა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის პროგრამას, აღნიშნულია მანიფესტში, საფრანგეთის კომპარტიას შეგნებული აქვს, რომ ემსახურება საფრანგეთის მშრომელთა ინტერესებს და ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას.

აყენებენ რა თავიანთ წინადადებებს, ნათქვამია მანიფესტში, საფრანგეთის კომუნისტები აცხადებენ, რომ მზად არიან შეისწავლონ და სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთად განსაზღვრონ ის პრინციპები, რომლებმაც ხელმძღვანელ სოციალისტურ საფრანგეთში უნდა უზრუნველყონ დემოკრატიის ყველა ფორმის განვითარება და ახალი სოციალური რეჟიმის დაცვა მუშათა კლასისა და მთელი ხალხების ინტერესების, საფრანგეთის ინტერესების შესაბამისად.

## ოდოდრაკილი ბორკილებში

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეგანდელ სარედაქციო სტატიაში გაზეთი „მორნინგ სტარი“ მოითხოვს გაანალონ კამპანია ბერძენი პატრიოტის, კომპოზიტორ მიკის თეოდორაკისის განთავისუფლებისათვის, რომელიც კვლავ განიცდის სასამართლო დევნას. თითეული დემოკრატის მოვალეობაა მოითხოვოს თეოდორაკისისა და ყველა სხვა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება“, — ხაზს უსვამს გაზეთი.

მიკის თეოდორაკისი დააპატიმრეს მიმდინარე წლის ზაფხულში და გაგზავნეს პელოპონესის შორეული მთის ხიფლში. ათენიდან მიღებული ცნობებით, მას ბრალად დასდეს „ხელისუფალთა შეურაცხყოფა“ 1966 წლის დეკემბერში, ესე იგი რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე საბერძნეთში სამხედრო გადატრიალება მოხდებოდა.

4 დეკემბერს თეოდორაკისი ცოტა ხნით გამოჩნდა ათენის სასამართლოში. მას ხელბორკილი ეკეთა და ბევრი მცველი ახლდა. სასამართლოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მის საქმეს მოისმენენ დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ.

## ბოლივიის თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ შეერთებულ შტატებში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ხეოს-1“, რომელიც შექმნა ევროპის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციამ. კენედის კოსმოდრომ (ფლორიდის შტატი) ამერიკული რაკეტა „ტორ-დელტის“ საშუალებით გაშვებული თანამგზავრი მოძრაობს ელიფსური ორბიტით, რომლის აპოგეა — 225 ათასი კილომეტრი და პერიგეა — 440 კილომეტრი. თანამგზავრის მამოქცევის პერიოდია 4,5 დღე-ღამე, წონა 108 კილოგრამი.

თანამგზავრის შექმნაში მონაწილეობდნენ ბელგია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და დასავლეთი გერმანია. თანამგზავრი მოაწყობს ელექტრომაგნიტურ ველს, კოსმოსური მიწის რადიაციის შესასწავლად.

## ოთხ ფრანგ ჟურნალისტს

ალჟირი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის ხელისუფლებამ ოთხ ფრანგ ჟურნალისტს ბრძანა ალჟირიდან გასვლა. ეს ბრძანება ეხება ჟურნალ „ლ'ექსპრესის“ ორ ჟურნალისტს, ჟურნალ „ლ'ობსერვატორ“ და ჟურნალ „ლ'ეტანდარ“ ერთ-ერთ ჟურნალისტს.

## ინგლისელ ბერძენებს

ათენი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ბერძენ ინჟინერ-ინოვატორ ანტონ ანტონოპულოსს, ინგლისელ ბერძენ ბიზნესმენ ალეკოს ალეკოსს, ინგლისელ ბერძენ ბანკირ ალეკოს ალეკოსს, ინგლისელ ბერძენ ბიზნესმენ

# ჩვენს ყრე-ჟურნალში

გვაცყობინებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

## სოფლის სიკეთისათვის

**ყვარელი.** (საკ. კორ.). ჩიყვი და მალარია იყო სოფლის მკვიდრთა ხვედრი რევოლუციამდელ გაკაზში. უგზოობით ეს მშვენიერი სოფელი თითქმის მოწყვეტილი იყო დანარჩენ სამყაროს.

გაკაზში მალარიისა და ჩიყვის წარმოშობის სოციოლოგიური ფესვები — არაჯანსაღი წყალი და კოღო ანოფელესი ისტორიას ჩაბარდა. სოფლის ცენტრი თანამედროვე სოციალისტური დაბის მოედნად იქცა. 10 კილომეტრზე მოიხრეშა შიდასასოფლო გზები, მოპირკეთდა რაიონის ცენტრთან დამაკავშირებელი გზატკეცილი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სკოლის მშენებლობა.

### სანატორიუმის საგზურები — კოლმეურნეებს

**წითელწყაროს.** (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება საკოლმეურნეო პროფკავშირული ორგანიზაციების როლი და ადგილი კოლმეურნეობის მართვაში.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომლის თავმჯდომარეა ნ. ოთარაშვილი, წელს ექვს კოლმეურნეს მისცა დასასვენებელი და სამკურნალო საგზურები. მათ შორის ოქტომბერში ჯვის სანატორიუმში ისვენებდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. პაპიაშვილი. სტუდიაში სამუშაოდ მოწვეული არიან კვალიფიციური პედაგოგები.

### კინოფილმები ფართო ფორმატით

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ამერიკიდან რუსთაველ მაყურებელს საშუალება აქვს, მშობლიურ ქალაქში ნახოს ფართოფორმატიანი კინოსურათები. კინთეატრ „რუსთავში“ ამერიკაკავკასიაში პირველად დამონტაჟეს „კატ-15“ ქსენონის ნათურიანი ორი კინოპარატი.

### ქორეოგრაფიული სტუდია

**დუშეთი.** (საკ. კორ.). სამი თვეა, რაც ქალაქში მუშაობას შეუდგა ქორეოგრაფიული სტუდია. სწავლება სამწლიანია.

სტუდიას ხელმძღვანელობენ საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგე ჟ. ჟურგენიძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. პაპიაშვილი. სტუდიაში სამუშაოდ მოწვეული არიან კვალიფიციური პედაგოგები.

# დირიჟორის დებიუტი

**ბოლო** ხანებში თბილისში შედგა რამდენიმე ახალგაზრდა დირიჟორის დებიუტი. მათ შორის აღსანიშნავია ლენინგრადის კონსერვატორიის კურსდამთავრებულის სპარტაკ კორკოტაშვილის პირველი სპექტაკლი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მან უდირიჟორა ბიზეს ოპერა „კარმენს“. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ქართველმა დირიჟორმა გაიარა საბჭოთა კავშირში ამჟამად ყველაზე მოწინავე ლენინგრადის სადირიჟორო სკოლა, მისი ბრწყინვალე წარმომადგენლის პროფესორ ნ. ს. რაბინოვიჩის ხელმძღვანელობით.

ქართველი მუსიკალური საზოგადოებრიობა სპარტაკ კორკოტაშვილს ადრე იცნობდა როგორც კარგ ვიოლონჩელისტს. ეს პროფესია უდავოდ ნაყოფიერ გავლენას მოახდენს მის სადირიჟორო კარიერაზეც, რადგან იგი ბევრს მუშაობდა როგორც ვიოლონჩელისტი სიმფონიურ ორკესტრში.

სადირიჟორო ხელოვნება მოითხოვს მუსიკალური და პიროვნული თვისებების მეტად რთულ კომპლექსს. ძნელია ყველა ეს მოთხოვნა წაუყენო დებიუტანტს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ თვისებებს, რითაც უკვე ახლა გამოირჩევა კორკოტაშვილი. ეს არის პირველ რიგში სოლიდური პროფესიული დონე, რაც მას საშუალებას აძლევს ბრძოლა გამოუცხადოს ყოველგვარ დილეტანტურ გამოვლინებებს (ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირს ჩვენს მუსიკალურ პრაქტიკაში), მას აქვს საკმაოდ კარგი, სადა მუსიკალური გემოვნება და საკმაოდ განვითარებული თეთკრტიკის გრძნობა.

დირიჟორისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას შორის (განსაკუთრებით ისეთი დიდი ფორმის ნაწარმოების გახსნისას, როგორიც არის ოპერა ან სიმფონია), „უმთავრესია ნაწარმოების რეჟისორული ხედვა, აზროვნების მასშტაბურობა და სიღრმე, ბიზეს „კარმენი“ ამ მხრივ უნიკალური ნაწარმოებია. იგი აღსავსეა მძაფრი, მეტად მკაფიოდ გამოკვეთილი კონტრასტებით. მუსიკალური სახეები კი მეტად კონკრეტულია და ამავე დროს დიდ განზოგადებას აღწევს. ყოველივე ეს დირიჟორისაგან მოითხოვს მეტად ზუსტ მოქმედებას, რაც თავის მხრივ შეუძლებელია, თუ არ იქნა მაღალი საშემსრულებლო კულტურა და ტექნიკა.

ს. კორკოტაშვილი ხშირად საკმაოდ დამაჯერებლად ართმევს თავს ამ ამოცანებს, მაგრამ ნაწარმოების მთლიანობაში აღქმის საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე დაძლეული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ კორკოტაშვილმა პარტიტურა კარგად იცის, აგრეთვე კარგად სძღვევს სპექტაკლის ტექნიკური მართვის მხარეს. ტემპები ძირითადად სწორია, გარდა მეორე აქტის ცნობილი კვინტეტისა, რომელიც მეტ შინაგან ნერვს მოითხოვს.

რასაკვირველია, დირიჟორისათვის საკუთარი ინდივიდუალობის გამომჟღავნება ისეთ სპექტაკლში, რომელიც ათეული წლების მანძილზე გამომუშავებული შტამპებითა და ჩვევებით არის დამძიმებული, ძალიან ძნელია. უფრო ზუსტი მსჯელობისათვის საჭირო იქნა ვიხილოთ დამოუკიდებელ დადგმაში.

სპექტაკლის ძირითად შემსრულებელთა შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა მომღერალი თ. გურგენიძე, რომელიც დამაჯერებლად ხსნის კარმენის რთულ მუსიკალურ სახეს. გურგენიძეს აქვს ლამაზი ხმა, რომელსაც იგი კარგად ფლობს. იგი ნიჭიერი მუსიკოსია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კარმენის სახის ექტიორულ გახსნასაც.

მაგრამ დავუბრუნდეთ დებიუტანტს. სპარტაკ კორკოტაშვილი უდავოდ პერსპექტიული დირიჟორია. ამ დღეებში ჩვენ მას ვიხილავთ სიმფონიური პროგრამის დირიჟორად. ვუსურვოთ წარმატება ამ ამპლომაში.

**ლილე კილაძე.**

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.**

**ფაზამორდა.** დეკემბრის პირველი რიცხვებია. მოიწყინა ბუნებამ, ბათუმის სუბტროპიკულ ზონაშიც სიმყუდროეს დაისადგურა. სადღა არიან ზღვისპირა პლაჟზე დამსვენებლები, ანდა ლურჯ ტალღებში შეჭრილი მცურავები, ნავებით მოხეირნენი. აქა-იქ თუღა ნახავთ ზღვის მოტრფიალეთ, რომლებიც თბილად ჩაცმულნი დგანან სანაპიროზე და ტკბებიან ვრცელი ჰორიზონტის ხილვით, ზღვიდან მონაბერი სუფთა პაერით.

ფოტომოყვარულმა ბ. ჩანტლაძემ ფირზე აღბეჭდა ზამთრის დილა ქობულეთის ზღვისპირა პარკში.

# ეროვნულ გზებზე

**ეს** ბიოგრაფია თავდადებული გმირობით არ არის აღსავსე. მაგრამ მის ოსტატობაში, მის პროფესიულ ხელოვნებაში, მის ბუნებაში, მის შემოქმედებაში არის რაღაც განსაკუთრებული, მიმზიდველი, კეთილშობილური და მისაბაძი. ასეთი აზრის ამბავი მსოფლიოში ცნობილ აკადემიკოს ვ. ფილატოვის სახელობის თვალის სნეულებათა და ქსოვილების თერაპიის უკრაინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი. ამ აზრს დაადასტურებენ ტუნისის ოფთალმოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები და პაციენტები, სადაც ახლა მთავარ ექიმად მუშაობს **თევრათ გორგილაძე.**

თევრათი დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ გორგოძეებში. არც ნარინჯოვანთა ბაღების თვალწარმტაცი სილამაზეს, არც ხეობაში ამდერებული ჩაქვის ანკარა წყაროს გაუღვიძებია მასში შედიცინით დაინტერესება. მთავარი ის იყო, რომ ძველთა აჭარაში თითებზე ჩამოთვლებოდა ექიმები. სოფლები ექიმებაშებისა და მოლების ანაბარად იყო მიტოვებული.

შემდეგ კი... შემდეგ სოფლებში სინათლემაც შემოაღწია, კულტურამაც და მედიცინისადმი პატივისცემამაც. თერაპევტები, ქირურგები მოდიოდნენ და შეელოდნენ ავადმყოფებს. მაგრამ იმათ, რომელთაც სინათლე არასოდეს არ უხილავთ, ან იმათ, რომლებიც შეეჭიარდნენ ცას, ქვეყანას, მაჩლობლებს და რაიმე შემოხვევის გამო თვალის სინათლე დაკარგეს, ან დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდათ, რაიონში და ზოგჯერ ოლქშიც ვერავინ შეელოდა.

ადამიანს დაუბრუნო ყველაზე ძვირფასი—მხედველობა, ეს უდიდესი ბედნიერებაა, და... თევრათი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, მამია გოგოლაშვილის რჩევით მიემგზავრება ოდესაში.

თევრათ გორგილაძემ 1954 წელს წარჩინებით დამთავრა ოდესის ნ. პიროგოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ვ. ფილატოვის სახელობის ინსტიტუტის ორდინატურაში.

ფილატოვის მრავალ უდიდეს აღმოჩენათა შორის არის ერთი, რომელმაც განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა თვალის სნეულებათა მკურნალობის პრაქტიკაში, კერძოდ რქოვანას გადანერგვის უახლესი მეთოდი. მას იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა მხედველობის დაკარგვა გამოწვეულია მყარი ლიბრების გაჩენით. ეს არის რქოვანას გაბრსის ამღვრევა, რომლის მკურნალობაც ჩვეულებრივი მეთოდებით არ ხერხდება, ელადმერ ფილატოვის დაჩქარებით თევრათმა ღრმა მეცნიერული შესწავლისა და დაუფლების საგნად გაიხადა ოფთალმოლოგიის ეს დარგი და დიდ შედეგსაც მიაღწია.

ამ თემას მიეძღვნა ქართველმა ჰაბუკმა საკანდიდატო შრომა. სპეციალისტებმა დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს.

ღირსეულმა მოწაფემ თავისი მასწავლებლისაგან ვ. ფილატოვისაგან გადმოიღო მისი საუკეთესო თვისებები, რომლებიც ესოდენ სა-

ჭიროა ექიმისათვის. — არაფერი მოაკლოთ ავადმყოფს, — ხელქვეშევრებს ასწავლიდა აკადემიკოსი. ამ რჩევას განუხრელად ასრულებს თევრათი.

ასე დაამაღლა შრომაში, ძიებასა და მეგზურობაში მიდიოდა წლები, ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში თევრათ გორგილაძეს რამდენი ადამიანისათვის დაუბრუნებია სინათლე. იგი ხომ ახლაც მრავალ წერილს იღებს მადლიერებით აღსავსე პაციენტებისაგან.

თევრათი ახალი ენერგიით, დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მეცნიერული სიღრმით შეუდგა საღოქტორო თემის დამუშავებას. ეს თემაა — მეორისეული გლაუკომა ლიბრშეზრდილ თვალებზე და რქოვანას გადანერგვის შემდეგ.

**როგორი** იქნება მომავლის მედიცინა. რა გზით წარიმართება მთელი რიგი მძიმე დაავადებების მკურნალობა? ზოგიერთ ამ საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სრულიად საკავშირო კარდიოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე **პავლე ლუკომსკი.**

□ □

**უფინარეს** ყოველისა მინდა შევჩერდე **გულის რეგმატულ,** ანუ როგორც მათ ეძიდი სხვანაირად უწოდებენ, **შეძენილ მანკიებზე.** ადამიანი, როგორც წესი, ჯანსაღი იბადება, და უკვე მერე, თუ მას გაუჩნდება ინფექციის კერა, ოფ-

# ადამიანი მეტ ხანს იცოცხლებს

რი ხშირად ნუშისებრ ჯირკვლებში, ვეფაგი სტრეპტოკოკი იწყებს იერიშებს მთელ ორგანიზმზე, განსაკუთრებულ ზიანს აყენებს გულის სარქველებს, ასე წარმოიშობა რეგმატული მანკი. გულის ეს მანკიები ჯერჯერობით ეძიდი ბევრი გვაზედება. მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ 35-40 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად ალარ იქნებიან ახალი ავადმყოფები გულის ასეთი შეძენილი მანკიებით.

მეცნიერებისათვის საამაყოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დაავადების ლიკვიდაციის გზები ძირითადად უკვე დასახულია. შემოშავებულია და განუწყვეტლივ სრულყოფილი ხდება ნორჩოვანი ქირურგის წამლებით და ქირურგიული პროფილაქტიკური მკურნალობის შეთოდები. ცხადია, თვით მიკრობებს — სტრეპტოკოკებს ბუნებაში ვერ მოვსპობთ. მაგრამ ორგანიზმში რომ შეაღწევენ, ეს მიკრობები ვეღარ შეძლებენ გამოიწვიონ რევმატიზმით დაავადება, ვინაიდან დროულად გამოყენებული პროფილაქტიკური საშუალებანი მას განვითარებას ალარ დაანებებენ.

**ჰიპერტონიული** ავადმყოფობა **და ათეროსკლეროზი.** ამ დაავადებებთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია. ჰიპერტონიული ავადმყოფობა, მოკარდიის ინფარქტი, ათეროსკლეროზი ერთმანეთის მახლობელი ავადმყოფობანია. ათეროსკლეროზი ხასიათდება ნეთეერებათა გაცვლის დარღვევით, გაცვლას კი ცენტრალური ნერვული სისტემა არეგულირებს. ჰიპერტონიული ავადმყოფობა, როგორც საბჭოთა მეცნიერები ფიქრობენ, თავისებური ნევროზია, ესე იგი ავლა, როგორც ხედავთ, საქმე ეხება ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევას. არტერიების ვიდლების და მათი ფუნქციის ნერვული რეგულაციის შეცვლამ საბოლოო ანგარიშით შეიძლება გამოწვიოს მიოკარდის ინფარქტი.

უკვე ახლა მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი ასეთ ავადმყოფთა მკურნალობაში. წამლების დახმარებით ხერხდება ბევრ ადამიანს, რომელიც დაავადებულია ჰიპერტონიით, გარკვეულ დონეზე შეიფარნარჩუნოთ არტერიული წნევა. მოკარდის ინფარქტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის იყენებენ ანტიკოაგულანტებს — სისხლის შედედებისათვის ხელის შემშლელ მძლავრ საშუალებებს.

ძალიან აქტიურად წარმოიმართა **მოკარდის ინფარქტით** ავადმყოფთა მკურნალობა. ერთ-ერთ წამლების გარდა, სიცოცხლისათვის ბრძოლაში ებმება ახალი ტექნიკა. ხელსაწყობები და მექანიზმები გვეხმარებიან განუწყვეტელი დაკვირვება დაკვირვება ვაწარმოოთ გულის მოქმედებაზე. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ შევამჩნიოთ მომენტი, რომ დროულად შევიფიანაოთ ავადმყოფს ორგანიზმში საჭირო საშუალებანი, სტიმული მივცეთ გულის მოქმედებას სპეციალური ელექტრული განმუხტვით. ჩვენ გვაქვს გულის რიტმის ხელოვნური მძღოლი — მისი მუშაობის წარმმართველი ხელსაწყო. ინფარქტის ზოგიერთ შემთხვევაში იყენებენ სისხლის დამხმარე მიმოქცევას, რომელიც ადვილებს გულის მუშაობას.

**უნდა ვიფიქროთ, რომ შეიქმნება ხელოვნური გული.** კრიტიკულ მომენტებში იგი შეიძლება ჩავრთოთ ადამიანის სისხლის მიმოქცევის სისტემაში. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, **რომ 30-40 წლის შემდეგ გულის ავადმყოფობანი ნაკლებად საშიში იქნება სიცოცხლისათვის. ადამიანი შეძლებს მეტ ხანს იცოცხლოს და თანაც შემოქმედებითი აქტივობა შეინარჩუნოს.**

**მაგრამ მთავარია პროფილაქტიკა:** გონივრული აღზრდა სკოლაში, ოჯახში. კოლექტივში, საცხოვრებელი ბინის ჰიგიენა, შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება. ეს ხელს შეუწყობს ყოვლმხრივ განვითარებული, შემოქმედებითად აქტიური, ღინჯი პიროვნების აღზრდას. მას შეეძლება თავიდან აიცილოს წვრილმანი, არაპრინციპული კონფლიქტები, რომლებიც ნერვული სისტემის ტრავმას იწვევენ. მაშინ შეძლებრება ჰიპერტონიული ავადმყოფობით, ათეროსკლეროზით დაავადება.

**ფასდაუდებელია ფიზიკური აღზრდის როლი.** მე როგორც ექიმი დაბეჯითებით მოვითხოვ არა სპორტულ რეკორდებს რეკორდებისათვის, არამედ ჯანმრთელობის რეკორდებს ყველასა და თვითეულისათვის.

# ᲛᲝᲠᲔᲣᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ



**ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲨᲘᲛᲘᲗ**

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲠᲐᲣᲚᲔᲠᲘ — „ᲝᲥᲢᲘᲐᲑᲠᲡᲙᲘ“**

**ახალი** თევზსაყინავი ტრაულერი „ოქტიაბრსკი“ შეემატა საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს. იგი აგებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გემთსაშენში.

ახალი ტრაულერის კაპიტან-დირექტორად დანიშნულია შორი ნოსსონობის კაპიტანი ნ. მხატვარი.

ამჟამად რვა საოკეანო გემი სერავს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის წყლებს. ეხლანა თევზსაყინავი ტრაულერები „შ. რუსთაველი“, „მცხეთა“, „გურია“, „ოზიორსკი“, „კოლხეთი“, „იმერეთი“, „კახეთი“ და „რუსლანი“.

ქართველი მეგემეურები ყოველდღე გადაჭარბებით ასრულებენ ნადღეღამისო დავალებებს. ტრაულერ „კახეთის“ კოლექტივმა ნოემბრის გეგმის გადამეტებით დაიჭირა ახამდე ტონა ხუუმბრია, სტავრიდა და სხვა თევზი. (საქდესი).

# ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

# ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲪ

### Ვ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘ

**თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელები ტურნესათვის კამბოჯას ეწვევნენ. პირველი საერთაშორისო შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ ანომპენში კამბოჯის ეროვნული ბანკის გუნდთან, რომელიც ამ ქვეყნის ორგზის ჩემპიონია.

ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ ანგარიშით 6:0. სამი გოლის ავტორი შურთაზ ხუციელავა იყო.

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

**ბერლინში** ფინიში აქვს ელასკერის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირს ჰავანაში. მე-14 ტურში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ულმანმა** დამარცხება განიცადა და ლიდერობა საჭოთა გროსმაისტერს **ბრონშტეინს** დაუთმო. **ბრონშტეინმა ცინთან** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გადადებული პარტია მეასე სვლაზე თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ოთხნაკლული ტურის წინ **ბრონშტეინს** 14-დან 10 ქულა აქვს. გადამწყვეტ ტურში იგი ხვდება **მალიხს** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). **ულმანს** 9,5 ქულა აქვს. გროსმაისტერებს **ვასიუკოვსა** და **სუეტინს** — ცხრაცხრა ქულა, უნგრელ **ბარცაის** — 8,5 ქულა.

### ᲩᲔᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲣᲫᲐᲠᲔᲡᲨᲘ

ბუქარესტში სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ფრენბურთელთა ტურნირზე ლიდერობას ბულგარეთის გუნდები ინარჩუნებენ. საბჭოთა ფრენბურთელებს მეორე ადგილი უკავიათ.

# ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

**ᲛᲔᲠᲕᲔ** დიდი კალათბურთის სტადიონზე სიურპრიზების მოწმენი არ ვყოფილვართ და თითქმის დაცულ იქნა კანონზომიერების ნორმები, სამაგიეროდ ახალმა ტუმბა გაგვაკვირვა. იგი მოულოდნელი და ხიფათიანი გამოდგა.

სენსაცია თბილისში მოხდა, ჩემპიონი დამარცხდა და ისიც 20 ქულის სხვაობით! რა თქმა უნდა, ძნელია იმის დაჯერება, რომ „ოქროს მაძიებელთა“ რომელიც ენებავთ კოლექტივმა ისე განვლოს მომქანცველი დისტანცია, რომ წარუმატებლობის უსიამოვნება არ იგემოს, მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც.

დინამოელთათვის ლენინგრადის „სპარტაკი“ უცნობი მეტოქი როდი იყო. ისინი კარგად ერკვეოდნენ ამ კოლექტივისა და თვითეული მოთამაშის პოტენციალში, ბრძოლის მანერასა და ტაქტიკაში, იცოდნენ ისიც, თუ როგორ აიღეს მათ რეკანში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივთან — კიევის „სტროიტელთან“ და რომ ისინი თბილისში ქულების დასაარიგებლად არ იყვნენ ჩამოსულნი. და მაინც 6 დეკემბრის ამ მატჩისათვის დინამოელები სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

დასაწყისი დინამოელებს ცუდს არ უქადდა — 2:0, 4:2, 6:2. ეს მოხდა პირველ წუთში. მალე ანგარიში ჯერ 6:6, შემდეგ კი 8:8 გახდა, მეექვსე წუთისათვის უკვე წინ იყვნენ სტუმრები — 14:12. სწორედ აქედან დაიწყო გარდატეხა. სპარტაკელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. საქმეს ვერც ლემპასა და უბრეხლიძის შემოსვლამ, აგრეთვე სხვა შეცვლებმა უშველა. სტუმართა ყველა რგოლი რიტმულად მოქმედებდა, მათი ტყორცნა კი თითქმის ყოველთვის მიზანს ხვდებოდა.

დინამოელებმა ტაიმი წააგეს 13 ქულის სხვაობით (30-43). გარდატეხას ბრძოლაში მეორე ნახევარში მოელოდნენ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მასპინძლები დამარცხდნენ 62:82.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად სურათი ძირფესვიანად შეიცვალა. დინამოელები ბრძოლის ბატონ-პატრონები იყვნენ, მათ ყველაფერი გამოსდიოდათ — კომბინაციათა ეფექტურობაც, ზუსტი ტყორცნებიც, ძლიერი დაცვაც და ჩინებული თამაშით დამაჯერებელი რვანაში აიღეს 84:57.

აი 6 დეკემბრის დანარჩენი მატჩების შედეგები: არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი — რიგის სკა 70:64, კაუნასის „ჟალგირისი“ — მოსკოვის „დინამო“ 74:64, რიგის ვეფი — ალმა-ატის „ლოკომოტივი“ 82:65, ტარტუს „კალევი“ — კიევის „სტროიტელი“ 64:78.

**ვ. ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ.**

# „ᲐᲕᲢᲝᲜᲒᲚᲐᲓᲔᲢᲘᲡ“ ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

**ᲧᲝᲕᲔᲚᲘ** სეზონის მიწურულში სხვადასხვა საკაბურნი და გაზეთების რედაქციები აწყობენ სპეციალისტთა და მკითხველთა ტრადიციულ გამოკითხვას იმის დასადგენად, თუ ვინ იყვნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები. ასეთი ანკეტა უკვე მოაწყო შვედურმა გაზეთმა „ფეფენლადადენმა“.

ამ გამოკითხვის საფუძველზე 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს საფრანგეთის სამთო მოთხილამურე გრენობლის ზამთრის ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელი **ჟან კლოდ კილი.** ოთხ ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულმა ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა **ელ ორტერმა** მეორე ადგილი დაიკავა. მექსიკის ოლიმპიადის გმირი ზანგი მძლეოსანი **რ. ბიმონი,** რომელიც 8 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა, მესამე ადგილზე აღმოჩნდა. მეოთხე იყო ინგლისელი **დევიდ ჰემერი,** რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი დაიკავა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (48,1 წამი), მეხუთე — მეხიკოს ოლიმპიადაზე სამი ოქროს მედლის მფლობელი ცურვაში მსოფლიოს რეკორდსმენი ამერიკელი **დები მაიერი.**

მომდევნო ხუთი ადგილი დაიკავეს: ოლიმპიური ასპარეზობის ორგზის ჩემპიონმა ტანვარჯიშში ჩეხოსლოვაკელმა **ვ. ჩასლავსკამ,** ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ბილი იან კინგმა,** იტალელმა ბობსლეისტმა **ჯ. მონტიმ,** ავტომობილისტმა **გ. ჰილმ** (დიდი ბრიტანეთი), მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებმა წყვილთა ფიგურულ ციგურაობაში **ლუდმილა ბელოუსოვამ** და **ოლეგ პროტოპოპოვმა.**

# ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** გაიმართა საერთაშორისო მატჩი შაიბიან ჰოკეში სსრ კავშირის მეორე ნაკრებსა და კანადის გუნდებს შორის. საბჭოთა სპორტსმენები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:1.

● **ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ** დამთავრდა კალათბურთელ ქალთა უძლიერესი გუნდების ტურნირი. პირველად მრავალი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივი — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. პირველი იყო ვილნიუსის „კიბორგ-შტესი“. მესამე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის „სპარტაკი“.

● **ᲙᲘᲗᲮᲨᲘ** ფინიშს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ასუჯრედიან შაშში. გათამაშდა 13 ტური.

ლიდერია მინსკელი საერთაშორისო ოსტატი ბანტშარი, რომელსაც 8 ქულა აქვს. ანდრეიკოსს და ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲡ 7,5-7,5 ქულა აქვთ, ᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და ᲨᲐᲮᲔᲠᲚᲔᲡᲐ — 7-7 ქულა.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

**„ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲙᲐᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

**ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲔᲚᲘ** ვაჟთა გუნდების თბილისის საერთაშორისო ტურნირი გაბეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ტრადიციული ასპარეზობა გახდა.

წლევანდელ, რიცხვით მესამე ტურნირში მონაწილეობს 6 გუნდი.

ასპარეზობა გუშინ საზეიმოდ გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლეში. პირველ დღეს შედგა სამი მატჩი. გასულ ტურნირებში გამარჯვებულ უნგრელ ხელბურთელებს პაექრობა ჰქონდათ პოლონეთის გუნდთან და დამარცხდნენ 20:23.

დიდ ინტერესს იწვევდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთა შეხვედრა. მატჩის შედეგია 33:23 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

საქართველოსა და ბულგარეთის გუნდების პაექრობაში გიმარჯვეს ქართველმა ხელბურთელებმა 22:17.

# ᲠᲐᲓᲘᲝ

**8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა“ (მოსკოვი), 08.10 — საქალაქო სატრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — კონცერტი, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 09.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (მოსკოვი), 11.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 11.05 — ჟ. ბიერი. დივერტისმენტი და კაპრიჩიო, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — ოსური მუსიკა, 12.00 — საწარმოო ტანვარჯიში (მოსკოვი), 12.10 — გადაცემა ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. კორესპონდენტის ნაამბობი „ყურადღების ცენტრშია ახალი ადამიანის აღზრდა“, 12.25 — ა. მაჟავარიანი. სიმფონია ოთხ ნაწილად, 13.00 — უკანასკნელი ცნობები, (მოსკოვი), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწვნავე სტატია, 13.40 — რუს კომპოზიტორთა რომანსები ი. არბაპოვასა და ა. ვედერნიკოვის შესრულებით, 13.50 — გადაცემა „ავლაბრის არალეგალური სტამბა“, 14.00 — „გასეირნება ფიქიუში“ — მუსიკალური გადაცემა (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 — ნაწყვეტები გ. ცაბაძის, რ. ლაღიძისა და შ. მილორავის ოპერეტებიდან, 17.35 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის — მომძე რესპუბლიკების მწერალთა მოთხრობები, 17.55 — საქალაქო სატრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — კონცერტი, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — შოპენის საფორტეპიანო პიესები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ბლიცი. ეურიტიკა „არგონული ხოტა“ და პოლონეზი“, 19.00 — ნოვატორის ტრიბუნა „როგორ შევასრულეთ ხუთწლედი“, 19.15 — სიმღერები რ. კარაკალიჩისა და რ. გრაიჩის შესრულებით, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მოსკოვი), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — „რადიოფურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო